



■ **ირინა ვოზურია**

ნიუ იორკის მერმა „გვირილას“ მომღერლები სიგელით დააჯილდოვა

„ქართულ-ამერიკული მემკვიდრეობის დღე“ — ყოველწლიურად ამ სახელწოდებით ტარდება ნიუ იორკში ღონისძიება, რომელშიც ამერიკის შერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები მონაწილეობენ. წელს ქართველი ქველმოქმედის,

დიანა ბაგრატიონის ინიციატივით, უფრო ფართო მასშტაბის ღონისძიება დაიგეგმა და კონკურსში საქართველოში მცხოვრებმა ხელოვანებმაც მიიღეს მონაწილეობა.

გამარჯვებულთა შორის ანსამბლ „გვირილას“ ახალგაზრდული ჯგუფის ოთხი წევრი დასახელდა. ანსამბლის ხელმძღვანელმა **ირინა ვოზურიამ** „სარკეს“ უამბო:

— ჩვენ ამ ღონისძიებისთვის ერთი წელი ვემზადებოდით. 22 სექტემბერს კონკურსის გამარჯვებულები შტატებში მიემგზავრებოდნენ, თუმცა იქ გართულებული კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე, ღონისძიება ონლაინ ფორმატში ჩატარდა, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა ნიუ იორკის მერი ერიკ ადამსი და ამერიკაში მოღვაწე ქართველი ქველმოქმედი,



დიანა ბაგრატიონი. ეს ქალბატონი თავად გახლავთ „ქართულ-ამერიკული მემკვიდრეობის დღეები“ დამაარსებელი



■ **დიანა ბაგრატიონი ნიუ იორკის მართან ერთად**

ნინიკო ჩიხლაძე აკადემია „გვირილას“ პროექტების ავტორი: მინდა გამოვხატო მადლიერება ქალბატონი დიანა ბაგრატიონის ფონდის მიმართ დიდი მადლობა ქალაქ ნიუ იორკის მერს ბატონ ერიკ ადამს.

„გვირილას“ ახალგაზრდული ჯგუფიდან გამარჯვებულები არიან — მარიამ კიკალაიშვილი, თეკლა ბარნოვი, ეკა მუზაშვილი და მუსიკოსი დათო მურაჩაშვილი, რომელიც ჩვენს აკადემიაში მასტერ კლასს ატარებს. ნიუ იორკის მერმა ჩვენს აკადემიას გადასცა სპეციალური სიგელი, რომელიც უკვე გამოგზავნილია და, სავარაუდოდ, თბილისობისთვის ჩამოვა.

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე გამგზავრება ვერ მოვახერხეთ, თუმცა განაფხულისთვის კიდევ ერთი ღონისძიება იგეგმება, სადაც „გვირილა“ უკვე მინვეულია. სწორედ ამ პერიოდში ქართველი შემსრულებლების მონაწილეობით ბრუკლინში გაიმართება კონცერტი, სადაც საზეიმო ვითარებაში ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა „ქართული ქუჩა“.



■ **ირინა ვოზურია და ნინიკო ჩიხლაძე**

ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

სარკე